2024 წ.

ოპერატიული ინფორმაცია
2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (იანვარი)

დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ პარლამენტის საბიუჯეტო ოფისისათვის მოწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე

2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვრის შესრულების მიმოხილვა სახაზინო სამსახურის ყოველთვიური ანგარიშგების საფუძველზე, საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2024 წლის 26 თებერვლისა.

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბილისი, 2024 წ.

საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულების მიმოხილვა

2024 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის **შემოსულობების** შესრულება 1,858.6 მლნ ლარს, წლიური გეგმის (24,569.5 მლნ ლარი) 7.6%-ს და 3 თვის გეგმის[1] (6,066.2 მლნ ლარი) 30.6%-ს შეადგენს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს კი 266.3 მლნ ლარით (16.7%-ით) აღემატება (შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების გავლენით).

გადასახდელების შესრულება 2,051.0 მლნ ლარს, წლიური გეგმის (25,030.4 მლნ ლარი) 8.2%-ს და 3 თვის გეგმის (5,862.9 მლნ ლარი) 35.0%-ს აღწევს, ხოლო წინა წლის იანვრის მაჩვენებელს 553.6 მლნ ლარით (37.0%-ით) აჭარბებს.



შესაბამისად, იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით, **ნაშთის ცვლილება** (გამოყენება) **-192.4** მლნ ლარს შეადგენს. წლის დასაწყისისათვის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,577.3 მლნ ლარი, ხოლო 2024 წლის პირველი თებერვლისთვის კი ნაშთი განისაზღვრა 1,384.9 მლნ ლარის ოდენობით.



რაც შეეხება **შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით,** 3 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი მაჩვენებლით ხასიათდება შემოსავლები - 33.3%, ფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება მაღალი დონით გამოირჩევა (91.6%). არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება 3 თვის გეგმის მხოლოდ 0.8%-ია, ხოლო ვალდებულებების ზრდის კომპონენტი -125.4 მლნ ლარს შეადგენს (საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლით წმინდა შემოსულობების 162.8 მლნ ლარით შემცირების გავლენით).

გადასახდელების კომპონენტებთან დაკავშირებით, ხარჯების შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 33.2%-ს უტოლდება. შესრულების კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება, ასევე, ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები, შესაბამისად, 3 თვის გეგმის 33.5%-ს და 29.0%-ს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი კი შესრულების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა - 3 თვის გეგმის 50.5%.

დასახელება	2024 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	1 თვის შესრულება	1 თვე / 3 თვის გეგმა	დასახელება	2024 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	1 თვის შესრულება	1 თვე / 3 თვის გეგმა
შემოსულობები	**24,569.5**	**6,066.2**	**1,858.6**	**30.6%**	**გადასახდელები**	**25,030.4**	**5,862.9**	**2,051.0**	**35.0%**
შემოსავლები	20,731.0	5,548.2	1,846.3	**33.3%**	ხარჯები	19,120.9	4,779.0	1,584.5	**33.2%**
არაფინანსური აქტივების კლება	200.0	36.0	0.3	**0.8%**	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,180.6	703.4	355.2	**50.5%**
ფინანსური აქტივების კლება	300.0	150.0	137.3	**91.6%**	ფინანსური აქტივების ზრდა	305.6	22.3	7.5	**33.5%**
ვალდებულებების ზრდა	3,338.5	331.9	-125.4	**-37.8%**	ვალდებულებების კლება	1,423.4	358.2	103.8	**29.0%**

[1] 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის **საოპერაციო სალდოსა** და **მთლიან სალდოს,** 2024 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა **261.7** მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - **(-93.2)** მლნ ლარი.

2015-2024 წლების 1 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)



შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყველაზე დიდი მაჩვენებლის, **გადასახადების** მიმოხილვა, რაზეც იანვარში მიღებული შემოსავლების 89.0% და მთლიანი შემოსულობების 88.4% მოდის. კერძოდ, 1 თვეში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 1,642.4 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 31.5%-ს და წლიური გეგმის 8.6%-ს შეადგენს. ყველა სახის გადასახადი, გარდა მოგების გადასახადისა (3 თვის გეგმის 21.6%), 3 თვის გეგმის მიმართ მობილიზების კარგი დონით ხასიათდება და 34.4%-40.4%-ის ფარგლებში მერყეობს, განსაკუთრებით კი გამოირჩევა საშემოსავლო გადასახადი და აქციზი (შესაბამისად, 40.4% 39.2%). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, აღნიშნული მიმართულებით 3 თვეში დაგეგმილია 316.0 მლნ ლარი, ფაქტობრივი მაჩვენებელი კი -95.3 მლნ ლარს შეადგენს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 154.3 მლნ ლარით (10.4%-ით) არის გაზრდილი, ძირითადად, მოგების, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად 106.8%-იანი, 14.8%-იანი და 13.5%-იანი მატების გავლენით.

2023-2024 წწ. 1 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)



გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტის, **ხარჯების,** შესრულებამ იანვარში შეადგინა 1,584.5 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 33.2% და წლიური გეგმის 8.3%. ცალკეული სახეების მიხედვით ხარჯების შესრულებაში, 3 თვის გეგმასთან მიმართებით, მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის მუხლი (66.4%), კარგი მაჩვენებლით ხასიათდება სოციალური უზრუნველყოფის (33.1%), სხვა ხარჯების (32.0%) და შრომის ანაზღაურების (28.9%) მუხლები, ხოლო შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება გრანტების (23.9%), სუბსიდიებისა (24.6%) და საქონლისა და მომსახურების (24.4%) მუხლები. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ხარჯების მოცულობა 354.6 მლნ ლარით (28.8%-ით) გაზრდილია, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის (130.5 მლნ ლარით) და აგრეთვე, პროცენტისა (78.4 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების მატების გავლენით.

2023-2024 წწ. 1 თვის ხარჯები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)



დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2022 წლის 1 თვის შესრულება	2023 წლის 1 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა*	2024 წლის 1 თვის შესრულება	2024 წლის 1 თვის შესრულება / 2024 წლის 3 თვის გეგმა		2024 წლის 1 თვის შესრულება / 2023 წლის 1 თვის შესრულება		2024 წლის 1 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსულობები	**1,708.4**	**1,592.2**	**24,569.5**	**6,066.2**	**1,858.6**	**-4,207.6**	**30.6%**	**266.3**	**16.7%**	**7.6%**
შემოსავლები	**1,308.2**	**1,625.6**	**20,731.0**	**5,548.2**	**1,846.3**	**-3,701.9**	**33.3%**	**220.6**	**13.6%**	**8.9%**
გადასახადები	**1,119.9**	**1,488.1**	**19,115.0**	**5,207.4**	**1,642.4**	**-3,565.0**	**31.5%**	**154.3**	**10.4%**	**8.6%**
საშემოსავლო გადასახადი	455.9	571.8	6,345.1	1,626.0	656.5	-969.5	40.4%	84.7	14.8%	10.3%
მოგების გადასახადი	154.7	113.0	2,690.0	1,080.0	233.8	-846.2	21.6%	120.8	106.8%	8.7%
დღგ	468.7	580.2	7,388.3	1,699.4	658.5	-1,040.9	38.8%	78.4	13.5%	8.9%
აქციზი	124.4	153.1	2,375.0	454.0	177.9	-276.1	39.2%	24.8	16.2%	7.5%
იმპორტის გადასახადი	7.4	9.8	150.0	32.0	11.0	-21.0	34.4%	1.2	12.2%	7.3%
სხვა გადასახადები	-91.2	60.2	166.6	316.0	-95.3	-411.3	-30.2%	-155.5	-258.4%	-57.2%
გრანტები	**125.7**	**63.9**	**266.0**	**95.1**	**67.7**	**-27.4**	**71.2%**	**3.8**	**6.0%**	**25.5%**
სხვა შემოსავლები	**62.6**	**73.6**	**1,350.0**	**245.7**	**136.1**	**-109.6**	**55.4%**	**62.5**	**84.8%**	**10.1%**
არაფინანსური აქტივების კლება	**0.003**	**0.1**	**200.0**	**36.0**	**0.3**	**-35.7**	**0.8%**	**0.2**	**165.3%**	**0.1%**
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	**17.8**	**68.3**	**300.0**	**150.0**	**137.3**	**-12.7**	**91.6%**	**69.0**	**101.0%**	**45.8%**
ვალდებულებების ზრდა	**382.4**	**-101.8**	**3,338.5**	**331.9**	**-125.4**	**-457.3**	**-37.8%**	**-23.5**	**23.1%**	**-3.8%**
საგარეო	177.8	35.0	1,838.5	145.9	37.4	-108.5	25.7%	2.4	6.9%	2.0%
საშინაო	204.6	-136.8	1,500.0	186.0	-162.8	-348.8	-87.5%	-26.0	19.0%	-10.9%
გადასახდელები	**1,351.7**	**1,497.4**	**25,030.4**	**5,862.9**	**2,051.0**	**-3,812.0**	**35.0%**	**553.6**	**37.0%**	**8.2%**
ხარჯები	**1,074.3**	**1,229.9**	**19,120.9**	**4,779.0**	**1,584.5**	**-3,194.5**	**33.2%**	**354.6**	**28.8%**	**8.3%**
შრომის ანაზღაურება	143.0	158.5	2,577.3	636.7	184.2	-452.5	28.9%	25.8	16.3%	7.1%
საქონელი და მომსახურება	100.8	109.5	2,232.0	602.9	146.8	-456.1	24.4%	37.3	34.0%	6.6%
პროცენტი	92.9	205.4	1,540.0	427.6	283.8	-143.8	**66.4%**	78.4	38.1%	18.4%
სუბსიდიები	41.2	32.5	1,044.9	236.8	58.3	-178.5	24.6%	25.8	79.3%	5.6%
გრანტები	44.6	72.1	1,513.0	361.6	86.2	-275.3	23.9%	14.1	19.6%	5.7%
სოციალური უზრუნველყოფა	467.2	485.6	7,470.4	1,860.9	616.1	-1,244.8	33.1%	130.5	26.9%	8.2%
სხვა ხარჯები	184.6	166.3	2,743.2	652.5	209.1	-443.5	32.0%	42.8	25.7%	7.6%
არაფინანსური აქტივების ზრდა	**177.6**	**146.3**	**4,180.6**	**703.4**	**355.2**	**-348.2**	**50.5%**	**208.9**	**142.7%**	**8.5%**
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	**0.4**	**8.3**	**305.6**	**22.3**	**7.5**	**-14.8**	**33.5%**	**-0.8**	**-9.7%**	**2.4%**
ვალდებულებების კლება	**99.4**	**112.8**	**1,423.4**	**358.2**	**103.8**	**-254.5**	**29.0%**	**-9.0**	**-8.0%**	**7.3%**
საგარეო	96.6	110.2	1,380.6	345.5	101.1	-244.4	29.3%	-9.1	-8.3%	7.3%
საშინაო	2.9	2.6	42.7	12.7	2.7	-10.1	21.1%	0.1	2.2%	6.3%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / – გამოყენება)	**356.7**	**94.9**	**-460.9**	**203.2**	**-192.4**	**-395.6**		**-287.3**		

* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2022 წლის 1 თვის შესრულება	2023 წლის 1 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 1 თვის შესრულება	2024 წლის 1 თვის შესრულება / 2024 წლის 3 თვის გეგმა		2024 წლის 1 თვის შესრულება / 2023 წლის 1 თვის შესრულება		2024 წლის 1 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
შემოსავლები	**1,308.2**	**1,625.6**	**20,731.0**	**5,548.2**	**1,846.3**	**-3,701.9**	**33.3%**	**220.6**	**13.6%**	**8.9%**
გადასახადები	1,119.9	1,488.1	19,115.0	5,207.4	1,642.4	-3,565.0	31.5%	154.3	10.4%	8.6%
გრანტები	125.7	63.9	266.0	95.1	67.7	-27.4	71.2%	3.8	6.0%	25.5%
სხვა შემოსავლები	62.6	73.6	1,350.0	245.7	136.1	-109.6	55.4%	62.5	84.8%	10.1%
ხარჯები	**1,074.3**	**1,229.9**	**19,120.9**	**4,779.0**	**1,584.5**	**-3,194.5**	**33.2%**	**354.6**	**28.8%**	**8.3%**
შრომის ანაზღაურება	143.0	158.5	2,577.3	636.7	184.2	-452.5	28.9%	25.8	16.3%	7.1%
საქონელი და მომსახურება	100.8	109.5	2,232.0	602.9	146.8	-456.1	24.4%	37.3	34.0%	6.6%
პროცენტი	92.9	205.4	1,540.0	427.6	283.8	-143.8	66.4%	78.4	38.1%	18.4%
სუბსიდიები	41.2	32.5	1,044.9	236.8	58.3	-178.5	24.6%	25.8	79.3%	5.6%
გრანტები	44.6	72.1	1,513.0	361.6	86.2	-275.3	23.9%	14.1	19.6%	5.7%
სოციალური უზრუნველყოფა	467.2	485.6	7,470.4	1,860.9	616.1	-1,244.8	33.1%	130.5	26.9%	8.2%
სხვა ხარჯები	184.6	166.3	2,743.2	652.5	209.1	-443.5	32.0%	42.8	25.7%	7.6%
საოპერაციო სალდო	**234.0**	**395.7**	**1,610.1**	**769.2**	**261.7**	**-507.4**	**34.0%**	**-133.9**	**-33.9%**	**16.3%**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**177.6**	**146.2**	**3,980.6**	**667.4**	**354.9**	**-312.5**	**53.2%**	**208.7**	**142.7%**	**8.9%**
ზრდა	177.6	146.3	4,180.6	703.4	355.2	-348.2	50.5%	208.9	142.7%	8.5%
კლება	0.003	0.1	200.0	36.0	0.3	-35.7	0.8%	0.2	165.3%	0.1%
მთლიანი სალდო	**56.3**	**249.4**	**-2,370.5**	**101.8**	**-93.2**	**-195.0**	**-91.5%**	**-342.6**	**-137.4%**	**3.9%**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**339.3**	**34.8**	**-455.4**	**75.5**	**-322.3**	**-397.8**	**-426.9%**	**-357.1**	**-1025.7%**	**70.8%**
ზრდა	**357.1**	**103.1**	**305.6**	**225.5**	**7.5**	**-218.0**	**3.3%**	**-95.7**	**-92.8%**	**2.4%**
ვალუტა და დეპოზიტები	356.7	94.9	0.0	203.2	0.0	-203.2	0.0%	-94.9	-100.0%	
სესხები	0.4	8.3	305.6	22.3	7.5	-14.8	33.5%	-0.8	-9.7%	2.4%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
კლება	**17.8**	**68.3**	**760.9**	**150.0**	**329.8**	**179.8**	**219.9%**	**261.5**	**382.7%**	**43.3%**
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	460.9	0.0	192.4	192.4		192.4		41.7%
სესხები	17.8	68.3	300.0	150.0	137.3	-12.7	91.6%	69.0	101.0%	45.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
ვალდებულებების ცვლილება	**282.9**	**-214.6**	**1,915.1**	**-26.3**	**-229.1**	**-202.8**	**871.5%**	**-14.5**	**6.8%**	**-12.0%**
ზრდა	**382.4**	**-101.8**	**3,338.5**	**331.9**	**-125.4**	**-457.3**	**-37.8%**	**-23.5**	**23.1%**	**-3.8%**
საშინაო	204.6	-136.8	1,500.0	186.0	-162.8	-348.8	-87.5%	-26.0	19.0%	-10.9%
საგარეო	177.8	35.0	1,838.5	145.9	37.4	-108.5	25.7%	2.4	6.9%	2.0%
კლება	**99.4**	**112.8**	**1,423.4**	**358.2**	**103.8**	**-254.5**	**29.0%**	**-9.0**	**-8.0%**	**7.3%**
საშინაო	2.9	2.6	42.7	12.7	2.7	-10.1	21.1%	0.1	2.2%	6.3%
საგარეო	96.6	110.2	1,380.6	345.5	101.1	-244.4	29.3%	-9.1	-8.3%	7.3%
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**		**0.0**		